პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 82 (1252) | ხუთშაბათი, 10 ივლისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 80 კაპ.





სურათზე: მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ბ. შახლინი ორძელზე ვარჯიშის დროს. მარჯვნივ — ბ. შახლინი.

თბილისის „ბურევესტნიკის“ პირველი წარმატება

მოსკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო კალათბურთში სსრ კავშირის პირველობის ბოლო ტური.

საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო თბილისის „დინამოსა“ და ალმა-ატის „ბურევესტნიკის“ შეხვედრა. დინამოელები თამაშზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: აბაშიძე, მინაშვილი, კილაძე, გვანცელაძე, ხაზარაძე. ალმა-ატელთა გუნდის შემადგენლობაში არ იყო ცნობილი გოგოტოლ ბუკინი.

პირველი ტაიმი დინამოელებმა მოიგეს ანგარიშით 31:25. ბოლოს შემდეგ თბილისელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო და გამარჯვებაც მათ დარჩათ 72:50.

პირველი დღის სენსაციას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის — რიგის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის გუნდის დამარცხება, რომელიც მას მიაყენა თბილისის „ბურევესტნიკმა“.

განსაკუთრებით კარგად თამაშობდა თბილისელთა პირველი ხუთეული (ლეჟავა, მოსეშვილი, კაკაურიძე, აჩბა, ლომაძე). რიგელებმა დასაწყისში არ გამოიყვანეს თავიანთი ლიდერი — კრუმინში, მაგრამ 10 წუთის შემდეგ, როცა „ბურევესტნიკი“ წინ იყო 23 ქულით, კრუმინში ჩაება თამაშში. თბილისელებმა კრუმინშის წინააღმდეგ ლეჟავა ათამაშეს და მანაც კარგად შეასრულა თავისი ფუნქციები. საბოლოო შედეგია 77:75. თბილისელ სტუდენტებს მთელი სტადიონი ულოცავდა სასახელო გამარჯვებას.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (რიგა)-„კალევი“ (ტალინი) — 74:45, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 74:62, „დინამო“ (მოსკოვი)-„ტრუდი“ (სვერდლოვსკი) — 75:54, ცსკ მო-„უალგირისი“ (ყაზანი) — 84:62.

ნ. ბუგუშვილი.

სახელოვანი ძმების პრიზზე

უკვე რამდენიმე წელია გაზაფხულზე პარიზში ტარდება შეჯიბრება სახელოვანი საბჭოთა მძლეოსნების ძმების ს. და გ. ზნამენსკების პრიზზე.

მიმდინარე წლიდან ჩვენს ქვეყანაში რეგულარულად გაიმართება მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება. ამგვარი პირველი ღონისძიება ჩატარდა 6-7 ივლისს ლუჟნიკში, სადაც სტარტზე მასპინძლებთან ერთად გამოვიდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, ჩინეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

შეჯიბრება დაიწყო 400 მეტრზე რბენით. გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა მ. ნიკოლსკიმ, რომელმაც პირველი ოქროს მედალი მოიპოვა. ვაუთა შორის სპინტერულ დისტანციაზე ოქროს ორი მედლის მფლობელი გახდა პოლონელი მ. ფოიკი, რომელმაც 100 მეტრზე აჩვენა 10,6, ხოლო 200 მეტრზე — 21,5 წამი.

ზნამენსკების სახელობის პრიზებიდან ორი — 1.500 და 5.000 მეტრზე რბენა სტუმრებმა მოიგეს. პირველში უძლიერესი აღმოჩნდა მსოფლიო რეკორდსმენი ჩეხი ს. იურგვირტი — 3.46,7. ხოლო უნგრელ მ. საპოს ისეთი კარგი შედეგი 5.000 მეტრზე რბენაში არასდ უჩვენებია, როგორც ლუჟნიკში — 14 წუთი და 8 წამი.

როცა სამხრეთის ტრიბუნასთან დაიწყო შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში, იგი მაშინვე „მჭიდროდ დასახლებულ“ უბნად გადაიქცა — მაყურებლებმა აქეთ გადმოინაცვლეს, რადგან მოსალოდნელი იყო საინტერესო ბრძოლა უძლიერესთა შორის. მოლოდინი გამართლდა. გამარჯვების ძირითადი პრეტენდენტებიდან დაწინაურდნენ ი. კაშკაროვი და ი. სტეპანოვი, რომლებმაც შეძლეს 205 სმ დაძლევა, მაგრამ სტეპანოვმა მის გადალახვას ერთი ცდით მეტი მოანდომა. ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი ტ. ჩენჩიკი — 175 სმ.

აღსანიშნავია, რომ ქალთა პროგრამის ათი სახეობიდან საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს ყველა მედალი, მათ შორის ორი ოქროს მედლის მფლობელი გახდა მ. იტკინა, რომელმაც პირველი ადგილები დაიკავა 100 და 200 მეტრზე რბენაში. 80 მეტრზე თარჯრბენში გ. ბისტროვამ აჩვენა შესანიშნავი შედეგი.

ვაუთა პროგრამის 19 სახეობიდან საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს 34 მედალი, მათ შორის 8 ოქროსი. ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ჩვენს ქვეყანაში კიდევ ერთ საინტერესო საერთაშორისო შეჯიბრებას მძლეოსნობაში, რომელიც ყოველწლიურად ჩატარდება.

აბსოლუტური ჩემპიონი

ტანვარჯიშში მსოფლიო პირველობის მეორე დღეს შეჯიბრებაში ჩაებნენ ქალები. დასაწყისში იარაღებთან გამოვიდნენ ჩინეთის, რუმინეთის, იუგოსლავიისა და შვეიცის წარმომადგენლები. მაგრამ შემდეგ, როცა იარაღებზე ვარჯიში დაიწყეს სსრ კავშირის, იაპონიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სპორტსმენებმა, აშკარა გახდა, რომ მათ შორის უძლიერესნი იყვნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები. მაღალი შეფასება მიიღო ს. მურატოვამ ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშში, სადაც მან 9,766 ქულა დაიმსახურა. XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლ. ლატინინა პირველი იყო თავისუფალ ვარჯიშში და დვირზე, გარდა ამისა, მან თ. მანინასთან ერთად გაიყო პირველი-მეორე ადგილები ხტომებში. 4 იარაღის შემდეგ ჩემპიონატს სათავეში ჩაუდგა ლ. ლატინინა, რომელმაც დააგროვა 38,599 ქ. მომდევნო ადგილებზე არიან ს. მურატოვა, თ. მანინა, ჩეხი ე. ბოსაკოვა, ლ. კალინინა (სსრ კავშირი) და კ. ტანაკა (იაპონია).

ვაუთა ნებისმიერ ვარჯიშებს უნდა გამოერკვია თუ ვინ მოიპოვებდა მსოფლიოში უძლიერესი ტანმოვარჯიშის სახელს. ლუჟნიკის სპორტის სახასლეში შეკრებილი ათასობით მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს სსრ კავშირისა და იაპონიის სპორტსმენთა გამოსვლებს, რადგან სწორედ ამ ორი გუნდის წევრებიდან უნდა გამოვლინებულიყო გამარჯვებული. შესანიშნავად ასრულებდნენ ნებისმიერ ვარჯიშებს იაპონელი ტანმოვარჯიშეები. რგოლებზე იაპონელმა ნ. აიხარამ გაიმეორა ა. აზარიანის „რეკორდი“ — 9,9. ხტომებში შეუდარებელი იყვნენ ნ. აიხარა და მ. ტაკემოტო, რომელთა ვარჯიში მსაჯებმა 9,9 ქულით შეაფასეს, ღერძზე ონომ მიიღო 9,85 ქულა, მანვე მაღალტექნიკურად შეასრულა ვარჯიში ორძელზე და ხტომებში. მაგრამ ბ. შახლინის გადასწრება იაპონელმა მაინც ვერ შეძლო. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ორძელზე აჩვენა 9,9, რგოლებზე — 9,75, ღერძზე — 9,8 ქულა და დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი. გამარჯვებულმა დააგროვა 116,5 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა ონომ — 115,6, მესამე — ი. ტიტოვმა — 115,45.

გუნდურ პირველ ადგილზეა სსრ კავშირის ვაუთა ნაკრები. მეორე ადგილზე გამოვიდა იაპონიის გუნდი.

გუნდური პირველი ადგილისათვის

ვილნიუსის ოფიცერთა სახლის თეთრი დარბაზი, სადაც მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში, დიდი მოცულობისაა, მაგრამ იგი მაინც ვერ იტევს თამაშებზე დამსწრეთა ყველა მსურველს. ეს აიხსნება არა მარტო თავიანთი გუნდის წარმატების დაინტერესებით, არამედ იმ მოულოდნელობებითაც (მაგალითად, ლომაიას გამარჯვება ტოლუშზე), რაც ტურნირს მეტ ინტერესსა და ლაზათს აძლევს.

შეჯიბრებაზე თავიდანვე დაწინაურდა ლენინგრადელთა ძლიერი კოლექტივი, რომლის შემადგენლობაში არიან გროსმაისტერები ტოლუში და კორჩნოი, ოსტატები ფურმანი, კოპილოვი, ოსნოსი და სხვები. ლენინგრადელებმა დამაჯერებლად ითამაშეს უკრაინის, საქართველოსა და მოსკოვის გუნდების წინააღმდეგ და ოთხი ტურის შემდეგ 24,5 ქულით კვლავ განაგრძობენ ლიდერობას.

ლიდერს კვალდაკვალ მისდევს ბელორუსიის გუნდი, რომელსაც 23 ქულა აქვს. საქართველოს მოჭადრაკეები მესამე ტურში დამარცხდნენ ესტონელებთან, ხოლო მეოთხე ტურში — ბელორუსიასთან.

„რესინგი“ თბილისში

8 ივლისს თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო კლუბი — პარიზის „რესინგი“.

„რესინგი“ ტიპიური ფრანგული ფეხბურთის წარმომადგენელია. გუნდი ხშირად არათანაბარი სიძლიერით თამაშობს და დიდ მიღწევებთან ერთად აქვს ასეთივე ჩავარდნებიც. მაგალითად, საფრანგეთის შარშანდელ ჩემპიონატში „რესინგმა“ დაიკავა მხოლოდ მეცხრე ადგილი, ხოლო ა. წ. მაისში პირველი ადგილი მოიპოვა ისეთ ძნელ ტურნირში, სადაც მონაწილეობდნენ „ბოლტონ უონდერერსი“ (ინგლისი), „ფლამენგო“ (ბრაზილია) და „უიპეშტი“ (უნგრეთი).

„რესინგის“ ასეთ არასტაბილურ თამაშს უნდა მიეწეროს ისიც, რომ გუნდმა შარშან თავის მინდორზე დიდი ანგარიშით წააგო მოსკოვის „ტორპედოსთან“, ხოლო 3 ივლისს კი მოსკოვში რევანში აიღო ანგარიშით 5:2. ამ მატჩის შემდეგ ფრანგმა ფეხბურთელებმა ითამაშეს ლენინგრადში ადგილობრივი „ადმირალტეეცის“ წინააღმდეგ და კვლავ გაიმარჯვეს — 4:1. საერთოდ პარიზელებმა წელს კარგად ჩაატარეს საერთაშორისო მატჩები.

„რესინგის“ შემადგენლობაში თამაშობენ ისეთი ოსტატები, როგორიც არიან სიზოვსკი, გიიო, გრიიე, პიიარი და სხვ.

ხვალ პარიზის „რესინგი“ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ხვდება მასპინძელთა გუნდს.

* * *

თბილისში ჩატარებული მატჩის შემდეგ ავსტრიის „ვიენა“ მოსკოვში შეხვდა „ტორპედოს“. თამაში მოიგეს ტორპედოელებმა ანგარიშით 6:1.

* * *



სურათზე: „რესინგის“ ფეხბურთელთა გუნდის ერთი ჯგუფი თბილისის აეროდრომზე.

ფოტო ვ. მღებრიშვილისა

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის პროფკავშირის რაიკომის სურამის პიონერთა ბანაკში ხალისიანად ატარებენ ზაფხულის დღეებს პიონერები. აწყობენ ლაშქრობებს და ექსკურსიებს მშობლიური მხარის შესასწავლად.

სურათზე: სამტრედიელი მოსწავლეები გ. ჩიტია და მ. კუჭუაშვილი თავისუფალ დროს ჭადრაკის დაფასთან ატარებენ.

ფოტო ბ. ქიმერიძისა

ფიზკულტურული კოლექტივებიდან

ფეხბურთელთა ფორმები ცხრაკლიტულშია

რამდენიმე წლის წინ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს კოლმეურნეობის გამგეობამ გამოჰყო მიწის ნაკვეთი სპორტული ბაზის მშენებლობისათვის, შეძენილ იქნა სპორტული ფორმა ფეხბურთელთათვის, 2 სარბოლი ველოსიპედი და სხვა ინვენტარი.

მაგრამ ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის საბჭოსა და კომკავშირული ორგანიზაციის უყაირათობის გამო მოედანი ვერ მოეწყო, ერთი ველოსიპედი სრულიად არასპორტული დანიშნულებისათვის გადაეცა ფოსტალიონს, ხოლო ფეხბურთელთა ფორმა შეძენის დღიდან ცხრაკლიტულშია გამოკეტილი.

საინტერესოა, რას უნახავს ფიზკულტურის საბჭო ამ ფორმას და რატომ არ აპირებს სპორტული ბაზის მოწყობას.

ვ. კაჩაეთელი

ექიმთა კოლექტივში

რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას, რომელსაც „განთიადის“ ძირეული საბჭო (თავმჯდომარე გ. გულბანი) ხელმძღვანელობს. იგი აერთიანებს საზოგადოების 150 წევრს.

ამას წინათ საავადმყოფოში ჩატარდა პირველი სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, სროლა და ჭადრაკი. სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღეს საავადმყოფოს ცალკეულ განყოფილებათა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა, რომელთა შორის პირველი ადგილი ქირურგიულმა განყოფილებამ მოიპოვა.

ამჟამად ექიმი სპორტსმენები მონაწილეობენ „განთიადის“ საქალაქო სპარტაკიადაში.

რ. სვანიშვილი

18 ქულით

ხაშურის სალიანდაგო დისტანციაში ჩატარდა საჭადრაკო ტურნირი. რომელშიც მონაწილეობდა 11 მოჭადრაკე. თავიდანვე დაწინაურდა პირველთანრიგოსანი მ. ნემსაძე, რომელმაც 20 შესაძლებლიდან 18 ქულა მოაგროვა და პირველ ადგილზე გამოვიდა. მეორე ადგილზეა თ. ფატარიძე, ხოლო მესამეზე ა. ტაბატაძე.

ა. რიაპოლოვა

საქაღალდე პირველობა

ზესტაფონში დამთავრდა ფეროშენაღნობთა ქარხნის საჭადრაკო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდა 14 მოჭადრაკე.

ქარხნის ჩემპიონის სახელი მოიპოვა კ. ბარაბაძემ, მეორე ადგილი დაიკავა გ. ცირეკიძემ,

ს. ტალახაძე

რამდენიმე სახეობაში

საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს საინტერესო ღონისძიებები მიუძღვნეს საჩხერის რაიონის სპორტსმენებმა.

მოეწყო მოსწავლეთა ლაშქრობა მარშრუტით: საჩხერე-კვერეთი-საჩხერე, რომელშიც მონაწილეობდა 316 მოსწავლე. 13 მოტოციკლისტის მონაწილეობით ჩატარდა მოტოგადარბენა მარშრუტით: საჩხერე-მერჯევი-გორისა-კორბოული-სისვაძეები-ბახოთიარგვეთი-სავანე-საჩხერე.

საჩხერის სტადიონზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მძლეოსნები. ესტაფეტაში პირველი ადგილი დაიკავა საჩხერის მეორე სკოლამ. რბენაში 100 და 200 მეტრზე პირველი ადგილი გაიყვეს ო. ვაჭრიძემ (არგვეთის საშუალო სკოლა), ნ. ჩხიტუნიძემ (ბალის საშუალო სკოლა) და ლ. ცერცვაძემ (კორბოულის საშუალო სკოლა). სიგრძეზე ხტომაში ვაჟებში უძლიერესი იყო ჩიხის საშუალო სკოლის მოსწავლე ტ. ცუხიშვილი, ხოლო ქალებში — ჭალის საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. ჩხიტუნიძე.

ლელობურთში ერთმანეთს შეხვდნენ სხვიტორისა და ორღულის კოლმეურნეობათა გუნდები. ანგარიშით 11:1 გაიმარჯვეს სხვიტორელებმა.

ფეხბურთში „სპარტაკის“ ძველი და ახალი შემადგენლობათა ამხანაგური მატჩი ანგარიშით 5:3 მოიგეს ახალგაზრდებმა.

ს. ლაშხი

როცა მაყურებელი ვერ ერკვევა წესებში

სტალინირის ლენინის სახელობის პარკის საჭიდაო დარბაზში დამთავრდა საქართველოს სოფლის ფიზკულტურელთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული რესპუბლიკური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 რაიონის 102 სპორტსმენი.

იმის გამო, რომ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ აქ თითქმის არასოდეს ჩატარებულა შეჯიბრება სპორტის ამ სახეობაში, მაყურებლები ვერ ერკვეოდნენ შეჯიბრების წესებში და თავიანთი არასწორი გამოხდომებით ხელს უშლიდნენ მსაჯთა კოლეგიას. ხშირი იყო საჭიდაო მოედანზე საგნების სროლის, აგრეთვე უსაფუძვლო პროტესტის გამოთქმის, მსაჯთა მუშაობაში მაყურებელთა ჩარევის ფაქტები. შეჯიბრების მთავარი მსაჯი სპორტის ოსტატი ვ. ილურიძე რამდენიმეჯერ იძულებული შეიქნა შეეჩერებინა შეჯიბრება და მაყურებელთათვის ჩაეტარებინა ახსნა-განმარტება სპორტის ამ სახეობის წესების შესახებ.

შეჯიბრებაში პირველი ორი დღის შემდეგ წინ იყვნენ თბილისის გარეუბნის სპორტსმენები, მაგრამ ფინალური შეხვედრების დღეს აჭარის კოლექტივმა შეძლო მოეპოვებინა უძლიერესის სახელი. გარეუბნელები გამოვიდნენ მეორე ადგილზე, ხოლო აფხაზეთის მოჭიდავეები — მესამეზე.

საინტერესოდ ჩატარდა პირადი პირველობა ყველა წონითს კატეგორიაში. უმჩატეს წონაში გამარჯვებისათვის მებრძოლი 13 სპორტსმენიდან პირველ ადგილზე გამოვიდა ა. როსტიაშვილი. ნ. შენგელიამ (აჭარა) და აფხაზეთის გუნდის წევრმა ი. პაპანდოპულომ მეორე და მესამე ადგილები მოიპოვეს. მჩატე წონაში ჩემპიონი გახდა ონელი სპორტის ოსტატი ა. მაისურაძე, რომელმაც ფინალში მცირე უპირატესობით მოუგო მესამე ადგილზე გამოსულ გარეუბნელ უ. მოსესოვს. მეორე ადგილი წილად ხვდა ვ. ყურაშვილს (აფხაზეთი). მსუბუქ წონაში ფინალში გავიდნენ ვ. კოჩიევი (სამხრეთ ოსეთი), გ. ბოლქვაძე (აჭარა), და გ. პაპუაშვილი (ხაშური). საპრიზო ადგილები მათ შორის ამავე თანმიმდევრობით განაწილდა.

მსუბუქ წონაში ფინალამდე არც ერთი საჯარიმო ქულა არა ჰქონდა გარეუბნელ ვ. საგანელიძეს, მაგრამ მან ფინალში სუფთად წააგო სიღნაღელ ნ. ზედელაშვილთან მე-5 წუთზე, ხოლო ქულებით — ხ. კორაევთან (სამხრეთ ოსეთი). ჩემპიონობა წილად ხვდა კორაევს. ქვესაშუალო წონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ლ. ცეცხლაძე (აჭარა), გ. მჭედლიშვილი (ქარელი) და ი. სტეფანოვი (აფხაზეთი). საშუალო წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი ვ. ვაჭარაძე (ზესტაფონი), მეორეზეა ა. ფალავა (აჭარა), ხოლო მესამეზე — გარეუბნის გუნდის წევრი ე. ბადრიძე. ქვემძიმე წონაში გაიმარჯვა გ. ხალვაშმა (აჭარა). ცხაკაიელი დ. გვაზავა და გარეუბნელი ჯ. კუტალაძე გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე. მძიმე წონაში ადვილი გამარჯვება მოიპოვა სპორტის ოსტატმა ჯ. მანელაშვილმა (აჭარა). ამ წონაში მეორე იყო აფხაზეთის წარმომადგენელი ტ. ანკვაბა, მესამეზე — შ. დრიაშვილი (გარეუბანი).

გამარჯვებულ გუნდებსა და სპორტსმენებს გადაეცათ „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თასი, სიგელები და ფასიანი საჩუქრები. ჩამოყალიბდა ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სოფლის ფიზკულტურელთა სპარტაკიადაში.

ი. ჩხარტიშვილი,
სპორტის ოსტატი.

ლაშქრობა მწვერვალ ყაზბეგზე

24 ივნისს ყაზბეგის კომკავშირელმა მთამსვლელებმა მოაწყეს კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილი ალპინიადა მწვერვალ ყაზბეგზე.

მთამსვლელებმა სტარტი აიღეს დილის 12 საათზე და გაემართნენ გერგეთის მყინვარის გზით. საღამოს 8 საათზე ჯგუფი მეტეოროლოგიურ სადგურში დაბანაკდა.

25 ივნისს დილით დაიწყო მწვერვალის იერიში, რომელიც 11 საათისათვის დაპყრობილ იქნა. ჯგუფმა მწვერვალიდან მოხსნა ბორჯომის რაიონის ალპინისტთა 1957 წლის 4 ოქტომბრით დათარიღებული წერილი და ი. ჭავჭავაძის მამულიდან ატანილი ვაზის გვირგვინი, რომელიც მწვერალ ლ. გოთუას ჯგუფმა დატოვა. 12 საათზე მოლაშქრეები უკან დაბრუნდნენ და იმავე დღეს, 6 საათზე ყაზბეგში ჩამოვიდნენ.

რ. ჩქარეული,
ლ. სუჯაშვილი

უნდა აიკრძალოს

შედიხართ დარბაზში, სადაც საჭადრაკო დაფებთან გაცხარებული ბრძოლებია გამართული. თუ თამბაქოს ეწევით კიდევ არაფერი, მაგრამ თუ არა, ვაი უბედურებას! — თამბაქოს კვამლის ნისლში ხეირიანად ვერ გაარჩევთ ვერც მონაწილეებს, ვერც მსაჯებსა და ვერც საადმინისტრაციო დაფას. სუნთქვა შეგეკვრებათ და თავბრუ დაგესხმებათ. შეჯიბრების მონაწილენი წამდაუწუმ უკიდებენ ახალ-ახალ პაპიროსებს (როგორც მე ვცოდავდი საქართველოს XIX ჩემპიონატზე ვეწეოდი რა 40-45 პაპიროსს ერთ საღამოს) და უშიშრად აბოლებენ, რადგან ეს არ არის აკრძალული შეჯიბრების წესებით. თუმცა არც ის წერია სადმე, რომ ეს ნებადართული იყოს. ზოგიერთი გულშემატკივარიც თავის მხრივ შეაპარებს ხოლმე მონაწილეთა ხარჯზე პაპიროსის კვამლს. ეს ყველაფერი საკმარისია იმისათვის, რომ შეჯიბრების დამთავრებას ღარ დაუცადოთ და დარბაზიდან გულშეღონებული გამოხვიდეთ.

ჭადრაკის თამაშის დროს თამბაქოს მოწევის უფლება მოჭადრაკეებმა მოიპოვეს მაშინ, როცა ჭადრაკის თამაშისათვის განსაკუთრებული კლუბები არ არსებობდა და ჭადრაკის მოყვარულები შეჯიბრებებს აწყობდნენ ყავახანებსა და რესტორნებში. აქ კი თამბაქოს ეწეოდა ყველა — როგორც შეჯიბრების მონაწილე, ისე მაყურებელიც. ახლა როცა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ქალაქში არსებობს საჭადრაკო კლუბი, თამბაქოს მოწევა საჭადრაკო შეჯიბრებათა დროს უნდა აიკრძალოს.

მე არა ვარ მედიცინის მუშაკი, მაგრამ ვიცი, რომ თუ ნიკოტინი ხელს უწყობს კუჭის წყლულის განვითარებას, პულსის არიტმულობას, წნევის გადიდებას, ფილტვებისა და გულის დაავადებას, ფსიქიურ დაავადებასა და სხვა მრავალ სნეულებას, ამ უბედურებისგან არც მოჭადრაკის ორგანიზმია დაზღვეული, ვინაიდან ჭადრაკი არაა „იმუნიტეტი“ ნიკოტინის წინააღმდეგ. პირიქით, მოჭადრაკეზე, რომელსაც ხუთი საათის მანძილზე უხდება გონებისა და ნერვული სისტემის მაქსიმალური დაძაბვა, თამბაქო უფრო მეტად მოქმედებს, ვიდრე სხვაზე, ანლუნგებს გონებას, ამცირებს აზროვნების უნარს და უარყოფითად მოქმედებს სპორტულ შედეგებზე.

მოჭადრაკეებს მიაჩნიათ, თითქოს თამბაქო ამშვიდებდეს ნერვულ სისტემას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ ყოფილა. მედიცინა ამტკიცებს, რომ ნიკოტინი არა თუ ამშვიდებს ნერვებს, არამედ უფრო მეტად აღიზიანებს მას. ამ დროებითი აღგზნების დროს ადამიანი გრძნობს დაღლილობის შემსუბუქებას, დროებით შვებას, მაგრამ აღგზნებულობა სწრაფად გადადის ნერვული სისტემის დათრგუნვაში. ისევე როგორც სხვა ნარკოტიული საწამლავები, ნიკოტინიც მიეკუთვნება დროებითი აღგზნების საშუალებას ე. წ. „დოპინგს“. „დოპინგი“ კი სასტიკად აკრძალულია სპორტის ყველა სახეობაში.

ამასთან, თამბაქოს მოწევა ხომ არაეთიკურია არამწეველი მოწინააღმდეგის მიმართ. რა დაეშავა არამწეველმა, რომ ხუთი საათის მანძილზე ულაპავს მისთვის უსარგებლო კვამლს. ეს ხომ მას ხელს უშლის და ნამდვილად არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფება თავის მეტოქესთან შედარებით.

თუ ეს ასეა, თამბაქოს მოწევა საჭადრაკო შეჯიბრების დროს კატეგორიულად უნდა აიკრძალოს. ეჭვი არ არის, რომ თამბაქოს მწეველი მოჭადრაკეები განგაშს ასტეხენ იმის შესახებ, რომ მათთვის ძნელი იქნება არ მოწიონ ხუთი საათის განმავლობაში, მაგრამ მათ შეიძლება მივუთითოთ სრულებით უბრალო გამოსავალზე: პირველი — შეჯიბრების დროს თამბაქოს მოწევა შეიძლება ამისათვის საგანგებოდ განკუთვნილ ადგილზე, იმ დროს, როცა მოწინააღმდეგე ფიქრობს სვლაზე; მეორე — მოჭადრაკეებმა სრულებით უნდა დაანებონ თავი თამბაქოს. ამისათვის საპირო არც ისე დიდი ნებისყოფა და სპორტსმენს, რომელიც 5 საათს ჩაჰკირკიტებს საჭადრაკო დაფას, ახორციელებს ღრმა სტრატეგიულ მანევრებს და თავსატეხ კომბინაციებს, ნებისყოფაც საკმარისი უნდა ჰქონდეს.

ცნობილია, რომ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მოჭადრაკეები მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, პ. კერესი, დ. ბრონშტეინი, ს. რეშევსკი მ. ტალი, ტ. პეტროსიანი და სხვანი არ ეტანებიან ნერვების დამამშვიდებელ ამ ცრუ საშუალებას და დიდ წარმატებებსაც აღწევენ.

თამბაქოს წევა არა მარტო ჭადრაკის თამაშის დროს, არამედ საერთოდაც მავნეა სპორტსმენისათვის. ამიტომ ჩვენ, განსაკუთრებით კი მოჭადრაკეებმა, მის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ.

პ. მორჩილაძე,
პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე.



მესტიაში ამას წინათ ჩატარდა შეხვედრა ადგილობრივ და ტურისტთა ბაზის ფრენბურთელთა გუნდებს შორის. სურათზე: თამაშის მომენტი, მარცხნივ შეჯიბრებაში გამარჯვებული ტურისტ ქალთა გუნდი.

ფოტო ვ. რატიანისა.

ჩაკეტილი მსოფლიო ჯიჩკველოგაზე

◆

ბორის პაიჭაძე

სპორტის დამსახურებული ოსტატი

◆





ბრაზილიელი ფეხბურთელებისაგან ყოველგვარ სიურპრიზს უნდა მოელოდე თამაშში. ეს კარგად იცოდნენ ფრანგებმაც და უაღრესი სიფრთხილით დაიწყეს მატჩი. მაგრამ მათ მხედველობიდან გამოეპარათ მოწინააღმდეგე ნახევარმცველის ზიტოს სწრაფი რეიდი მინდვრის სიღრმეში. სანამ მის მიმართ მიღებული იქნა საგანგებო ზომები, წამიერი არეულობით ისარგებლა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვავამ და თავისუფალ ადგილზე გავიდა. ასეთ მომენტებს ბრაზილიელები არა ჰკარგავენ: ზიტომ მაშინვე გაგზავნა ბურთი საჭირო ადგილას და ვავა პირისპირ აღმოჩნდა მეკარე აბესთან. ფრანგების მეკარემ სცადა კარიდან გამოსვლით მოესწრო ბურთის აღება, მაგრამ სანამ იგი ამას მოასწრებდა, ვავამ ძლიერად დაარტყა კარის შორეულ კუთხეში — 1:0.

ანგარიში 0:1 მატჩის მეორე წუთზე, ისიც ბრაზილიასთან! ასეთი „უვერტიურა“ ყოველ გუნდს აუბნევდა თავგზას, მაგრამ საფრანგეთის ფეხბურთელები საოცარი სიმშვიდით შეხვდნენ მას — ყოველგვარი არეულობისა და პანიკის გარეშე.

ფრანგები მაშინვე საპასუხო შეტევაზე გადავიდნენ. მცველებმა უფრო მჭიდროდ აიყვანეს მოწინააღმდეგე ფორვარდები, ხოლო თავდამსხმელები სწრაფი გარღვევებით და გადაცემებით შეუდგნენ მოპირდაპირე კარის შტურმს.

ფრანგების ტაქტიკური გეგმის ამოცნობა არ წარმოადგენდა მაინცდამაინც რთულ პრობლემას. შეტევას ხელმძღვანელობდა ცენტრში ოდნავ უკან დაწეული რაიმონ კოპა. ყველა ბურთი მისკენ მოდიოდა, იგი კი ცდილობდა რამდენადმე მაინც მოხერხებულ მდგომარეობაში გაეყვანა კარის სიახლოვეს ჟიუსტ ფონტენი.

როცა საფრანგეთის გუნდში ასეთი კომბინაცია განხორციელდება, საქმე, როგორც წესი, გოლით მთავრდება. ასე მოხდა ამჯერადაც. კოპამ იშვიათი სიზუსტით გადასცა ბურთი ფონტენს, ეს უკანასკნელი სრული სისწრაფით შეიჭრა საჯარიმო მოედანში, მოატყუა მეკარე ჟილმარი და გაქვითა გოლი — 1:1.

ეს იყო პირველი ბურთი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის მეხუთე მატჩის მე-8 წუთზე იქნა გატანილი ბრაზილიელთა კარში.

ჩვენს უკან მსხდომმა ფრანგმა ტურისტებმა გამაყრუებელი ხმაური ატეხეს. ისინი შეშლილებივით ყვიროდნენ, ახტებოდნენ ერთმანეთს, ქუდებს ჰაერში ტყორცნიდნენ და რაღაცა საყვირებს აღრიალებდნენ. ეს თავშეუკავებელი ღრიანცელი კარგა ხანს გრძელდებოდა. გრძელდებოდა სანამ საფრანგეთის გუნდი შეტევაზე იყო და ფონტენი მრისხანე მოჩვენებასავით ტრიალებდა ბრაზილიელთა კართან. მაგრამ აი ფონტენი რამდენიმეჯერ ზედიზედ „შემთხვევით“ დარჩა თამაშგარე მდგომარეობაში და იძულებული გახდა მოცილებოდა საჯარიმო მოედანს, სულ უფროდაუფრო უჭირდა ბურთების განაწილება კოპასაც, რომელსაც ბრაზილიის გუნდის მცველები გასაქანს არ აძლევდნენ.

ცოტა ხანში ბრაზილიელები თამაშის სრული ბატონ-პატრონნი გახდნენ. მოაწესრიგეს რა „საქმეები“ მოწინააღმდეგის ორი ყველაზე სახიფათო თავდამსხმელის მიმართ, მათ უკვე აღარაფერი უშლიდა ხელს ეთამაშნათ თავიანთი სრული ბრწყინვალებით.

ამას დაემატა ისიც, რომ ვავასთან უცაბედი შეტაკებისას ტრავმა მიიღო ფრანგების ცენტრალურმა მცველმა რ. ჟონკემ, რომელიც ჯერ კარგა ხნით გავიდა მინდვრიდან და გუნდი 10 მოთამაშის შემადგენლობით დატოვა, ხოლო შემდეგ კოჭლობით დაუბრუნდა თამაშს. მატჩის ბედი აშკარად გადაწყვეტილი იყო.

ისევე, როგორც ფრანგებთან კოპა, ბრაზილიის გუნდში მთავარი „დისპეტჩერის“ როლს ასრულებს დიდი, რომელიც განსაცვიფრებელი აზროვნებითა და სიზუსტით ანაწილებს ბურთებს პარტნიორებს შორის. ერთ-ერთ ასეთ გადაცემას მოელოდნენ მისგან ყველანი 39-ე წუთზე, ხოლო დიდიმ კი სულ სხვაგვარი გადაწყვეტა მოძებნა. მან 25 მეტრის მანძილიდან უეცრად დაარტყა კარში და ბურთი სუფთად გავიდა კარის მარცხენა მაღალ კუთხეში — 2:1. ეს იყო გროსმაისტერული გოლი!

მეორე ტაიმში ბრაზილიელთა უპირატესობა კიდევ უფრო ნათელი იყო. მართალია, საფრანგეთის ფეხბურთელები თამაშობდნენ სრული მონდომებით, მთელი ენერგიით, მაგრამ ძალები აშკარად არათანაბარი იყო, მით უმეტეს, რომ ჟონკე თითქმის ვერაფრით ვერ შველოდა თავის ამხანაგებს.

აი ვავა მარცხენა მხრიდან გავიდა კართან და დაბალი ბურთი მიაწოდა ცენტრში. აბასმა ვერ შეაჩერა ბურთი ხელში და პელემ წყნარად შეაგორა იგი კარში —3:1.

ამის შემდეგ „ბრაზილიის ფეხბურთის იმედმა“ პელემ ორი ბურთი კიდევ გაიტანა, რასაც მატჩის დასასრულისათვის ერთი გოლით უპასუხა პიანტონიმ (№ 10) და მატჩი დამთავრდა ანგარიშით 5:2 ბრაზილიის გუნდის სასარგებლოდ.

ჩემი აზრით, ეს იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი — ტემპერამენტიანი, აზარტული, მძაფრი ბრძოლით აღსავსე და მეტად დასანანია, რომ ფრანგებს ბრაზილიასთან შეხვედრა ნახევარფინალში მოუხდათ. ჩემის აზრით, ეს იქნებოდა საუკეთესო ფინალური წყვილი.

ეს საფრანგეთის გუნდმა ცხადჰყო მატჩში მესამე ადგილისათვის გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნაკრებთან, რომელიც შედგა გეტებორგში „ნიუ ულევის“ სტადიონზე.

გეტებორგში აუარებელი საფეხბურთო მინდვრებია, სადაც ბავშვებს არავინ უშლის ხელს დილიდან დაღამებამდე ითამაშონ ბურთი. გარდა ამისა, ამ მინდვრებზე გარდიგარდმო დადგმულია დამატებით 4 კარი.

... დაიწყო ბრძოლა ბრინჯაოს მედლებისათვის. დასაწყისში ორივე გუნდი ზედმეტად ფრთხილობდა, ვინაიდან სული ეშინოდა ყოველგვარი მოულოდნელი უსიამოვნება შეეძლებოდა მომხიბვარიყო, მაგრამ ფონტენმა თამაშთან დაალაგეს ბურთი და კიდევ ერთხელ ლუი-კოპა-ფონტენი - მე-15 წუთზე დამთავრდა პირველი გოლით გერმანელთა კარში — 1:0.

მართალია, გერმანელებმა (ცეზლიარჩიკი) სულ სამ წუთში გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ 27-ე წუთზე მათს კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო („მოცელეს“ ვიესენსკი) და კოპამ ზუსტად გაიტანა ბურთი — 2:1.

ტაიმის დამთავრებამდე გერმანელებს კიდევ ერთხელ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან: გოლი კუთხური საჯარიმოს მოწოდების შემდეგ გაიტანა კვლავ იმავე დაუღალავმა ფონტენმა.

მეორე ტაიმი მეტად საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა და უაღრესად „მოსავლიანი“ გამოდგა. ჯერ ლუიმ გაიტანა მეოთხე ბურთი, ხოლო შემდეგ გერმანელთა მარჯვენა გარემარბმა რანმა მეტისმეტად ძნელი მდგომარეობიდან გაგზავნა ბურთი კარში — 2:4.

გერმანელებმა ვერაფერი გააწყეს ფონტენის განუწყვეტელი შეტევების წინააღმდეგ და მისგან კიდევ ორი ბურთი მიიღეს კარში, ხოლო თავის მხრივ გაიტანეს ერთი (შეფერი).

მატჩი ანგარიშით 6:3 მოიგო საფრანგეთის გუნდმა, რომლის წევრებმა მიიღეს ბრინჯაოს მედლები.

დარჩა მხოლოდ ერთი მატჩი — ფინალი...

(გაგრძელება იქნება)

* * *

სურათებზე: სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი მ. იაკუშინი, ბრაზილიელთა მარჯვენა შუამარბი დიდი და ბ. პაიჭაძე.

ამას წინათ თბილისის ტელემაყურებლებს მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში ესაუბრა რადიოკომენტატორი ნ. ოზეროვი. ნ. ოზეროვი სტუდიაში, მარცხნივ — ტელეკომენტატორი კ. მახარაძე.

დასაწყისი იხ. „ლელო“ № 81.

გათამაშება დაიწყო

ვორონეჟი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ 5 ივლისს დაიწყო ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პრიზის გათამაშება ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლების გუნდებს შორის.

გათამაშებაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდავეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის სკოლების გუნდები, აგრეთვე „შრომითი რეზერვები“ (ლენინგრადი) და „პახტაკორი“ (ტაშკენტი). შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი არიან 2 ქვეჯგუფად, სადაც თამაშები ჩატარდება ერთ წრედ. ქვეჯგუფებში შესაბამის ადგილებზე გამოსული გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან საერთო ადგილების გამოსარკვევად.

კენჭისყრის შედეგად პირველ ქვეჯგუფში მოხვდნენ მოსკოვის, ალმა-ატის, მინსკის, კიშინიოვისა და თბილისის გუნდები. მეორე ქვეჯგუფში თამაშობენ კიევი, სტალინაბადი, ლენინგრადი, „პახტაკორი“ (ტაშკენტი) და „შრომითი რეზერვები“ (ლენინგრადი).

გათამაშების პირველი დღე დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. გამარჯვებები მოიპოვეს მოსკოვის, კიევისა და ლენინგრადის გუნდებმა.

თბილისელები შეხვდნენ კიშინიოვის გუნდს. თამაში თავიდანვე ჩვენი გუნდის უპირატესობით დაიწყო. ანგარიში გახსნა თავდამსხმელმა ელიაშვილმა, რომელმაც კარგად გამოიყენა სედოვის გადაცემა. მეორე ტაიმში ელიაშვილმა კვლავ ზუსტი დარტყმით დაამთავრა გეგია-ზაქარეიშვილის მიერ დაწყებული კომბინაცია და თბილისის გუნდმა მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით 2:0. ჩვენს გუნდში კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ მცველები ტოგონიძე, წუწუნავა და თავდამსხმელი ელიაშვილი.

გ. ანთაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მეორე წრის პირველი მატჩები

სსრ კავშირის 1958 წლის პირველობა ქალთა გუნდებს შორის

თბილისში შეიკრიბნენ ქალათბურთში სსრ კავშირის 1958 წლის ჩემპიონატის მონაწილე ქალთა გუნდები—რიგის „დაუგავა“, მოსკოვის „ტრუდი“ და „სერპ ი მოლოტი“, ლენინგრადის სკვო, როსტოვისა და თბილისის „ბურევესტნიკი“. მეორე წრის დასაწყისში მათ განსხვავებული ადგილები უკავიათ გათამაშების ცხრილში: რიგის „დაუგავა“ მეხამეა მოსკოვის „დინამოსა“ და ტარტუს „კალევის“ შემდეგ, ხოლო დანარჩენი გუნდები გათამაშების ცხრილის ბოლოს იმყოფებიან. მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, მათ შორის შეხვედრები საინტერესოდ წარიმართა. გამონაკლისს შეადგენდა მოსკოვის „სერპ ი მოლოტისა“ და როსტოვის „ბურევესტნიკის“ მატჩი, სადაც თავიდანვე დაწინაურდნენ მოსკოველები, რომლებმაც მოიგეს თამაშის პირველი ნახევარი — 31:23. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 66:37 მოსკოველთა სასარგებლოდ.

კიროვის სახელობის პარკის ქალათბურთის სტადიონის მაყურებლებით სავსე ტრიბუნები გამოცოცხლდა, როცა მოედანზე მოეწყვნენ ლენინგრადის სკვო-სა და თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალათბურთელები. ეს მატჩი თავიდან ბოლომდე მაღალ ტემპში, საინტერესოდ ჩატარდა. ანგარიში გახსნა თბილისელმა გრიგორიანმა საჯარიმო ტყორცნიდან, რასაც ლენინგრადელმა ნეკრასოვამ ოსტატურად ნატყორცნი ბურთით უპასუხა. ამის შემდეგ თამაში ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. ენერგიულად მოქმედებდა გრიგორიანი, რომლის ნატყორცნი ბურთები ხშირად აღწევდა მიზანს. მაგრამ სუსტად ასრულებდა თავის ფუნქციებს ჯანელიძე. იგი შეზღუდულად მოქმედებდა, ამასთანავე ვერ იყენებდა კარგ შესაძლებლობებს. როცა საბადაშვილის მაგივრად მოედანზე ჯაფარიძე შემოვიდა, ამან თბილისელების თამაშში მეტი სიცოცხლე შეიტანა. ლენინგრადელთა კალათში ტყორცნით ხშირად თავდებოდა სტუდენტთა მიერ წამოწყებული კომბინაციები. თამაშის პირველი ნახევარი მოიგო „ბურევესტნიკმა“ — 24:19.

შესვენების შემდეგ ლენინგრადელებმა თანდათან გააძლიერეს თამაში. განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებდნენ ზაზნობინა, კისელიოვა, ნეკრასოვა. არმიელებმა არა თუ გაათანაბრეს ანგარიში, არამედ გავიდნენ კიდეც წინ. საქმეს ვერ უშველა თბილისელი იურიევას მოედანზე შემოსვლამ. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 54:43.

შეჯიბრების პირველი დღის უკანასკნელი მატჩი შედგა რიგის „დაუგავასა“ და მოსკოვის „ტრუდს“ შორის. პირველ წუთებში ორივე გუნდი თანაბრად უტევდა ერთმანეთს. მე-4 წუთისათვის ანგარიში ფრე იყო — 8:8. მე-8 წუთზე რიგელები წინ იყვნენ — 16:10, შემდეგ 20:12, 29:21. და სწორედ ამ ანგარიშზე რიგელები „გაიყინენ“. მათი მეტოქეები სწრაფად გაერკვნენ შექმნილ მდგომარეობაში, ჯერ გაათანაბრეს ანგარიში და შემდეგ გავიდნენ კიდეც წინ — 43:34. ეს მეტად ძნელი მატჩი მოიგეს მოსკოველებმა 57:53.

ზ. ჯანდიერი,

სურათზე: თბილისელ და ლენინგრადელ კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ლ ვ ო ვ ი. ჩვენი ქვეყნის მსროლელთა პირად-გუნდურ პირველობაზე ქალთა შორის ახალი რეკორდი დაამყარა ე. ზახარჩენკომ (საბჭოთა არმია). მცირეკალიბრიანი შაშხანიდან ჩოქელა მდგომარეობაში 50 მეტრზე სროლაში მან 200 შესაძლებლიდან 194 ქულა მოაგროვა.

ს უ რ ა თ ზ ე: მონაწილენი შეჯიბრების შედეგების ცხრილთან. წინა პლანზეა ე. ზახარჩენკო.

ფოტო კ. ბუზინინისა

ზღვისპირა პარკში

ბათუმში, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკის ჩოგბურთის კორტებზე დამთავრდა შეჯიბრება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს 1958 წლის პირველობაზე კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ თ ბ ი ლ ი ს ი ს, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავის, წულუკიძისა და ჭიათურის ქალთა და ვაჟთა გუნდები.

ვაჟთა გუნდებს შორის შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა და „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სახელი მოიპოვა ქუთაისის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი, ხოლო მესამეზე — აჭარის კოლექტივი.

ქალთა გუნდებს შორის ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვა აჭარის კოლექტივმა. მომდევნო ადგილებზე არიან თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და აფხაზეთის გუნდები.

შ. მამინაშვილი.

ლიდერობენ თბილისელები

ლატვიის უსინათლოთა საზოგადოების მიწვევით ამხანაგური საჭადრაკო მატჩის ჩასატარებლად რიგაში ჩავიდა საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მოჭადრაკეთა გუნდი შემდეგი შემადგენლობით: გ. ვეფხვაძე, ვ. კურახინი, გ. სიმონიანი, მ. კოკაშვილი, ნ. პანინი და ნ. მირონოვი (გუნდის მწვრთნელია გ. გამრეკელი).

თბილისელმა მოჭადრაკეებმა უკვე ჩაატარეს ამხანაგური მატჩის სამი ტური, რის შემდეგ საერთო ანგარიშია 11:7 მათს სასარგებლოდ.

მ. ჭავჭავაძე.

8 ბურთი— გადეში

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 8 ივლისი.

სკვო (თბილისი) — „სპარტაკი" (სტავროპოლი) — 5:3 (4:1)

„სპარტაკი": დიდური; პლოტნიკოვი, ჩუნოსოვი, ტირანოვი; ხუსნუტდინოვი, ეკიზაშვილი; კნიაზევი, პოლევოი, ანდრეენკო, რიბაკოვი, გოვორუნი.

სკვო: ვ. ივანოვი; სერგა, გაიხარაშვილი, კვირკველია; მიროშნიკოვი, ხელაძე; მიქაძე, ნორაკიძე, გორეშნევი, კურტანიძე, ქვლივიძე (ა. ივანოვი).

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

თავიანთი პირველი მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში თბილისის არმიელებს ჰქონდათ სტავროპოლის „სპარტაკთან". ანგარიში გაიხსნა უკვე მე-5 წუთზე, როცა ტირანოვმა ხელით დაიჭირა კართან გასული მიქაძე და გორეშნევმა ზუსტად გაიტანა 11-მეტრიანი საჯარიმო — 1:0.

კვლავ თბილისელება უტევენ. მე-11 წუთზე იმავე გორეშნევმა უძლიერესი დარტყმით დაამთავრა კუთხური საჯარიმოდან მოწოდებული ბურთი, ხოლო მცირე ხნის შემდეგ იგი სწრაფად გავიდა მოწინააღმდეგე მცველებს შორის და ანგარიში გახდა 3:0.

30-ე წუთზე სტავროპოლელთა კართან სრულიად ღია მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვლივიძე, მაგრამ მან კარში დარტყმას გადაცემა ამჯობინა, ვინაიდან მიქაძე კიდევ უფრო უკეთეს პოზიციაში იმყოფებოდა. ამ უკანასკნელმა მეოთხე ბურთი გაგზავნა კარში — 4:0. ტაიმის დასასრულს სპარტაკელებმა ერთი ბურთი გაქვითეს.

შესვენების შემდეგ თბილისელები გაცილებით უარესად თამაშობდნენ, ვიდრე პირველ ტაიმში. დაირღვა მთლიანობა ხაზებს შორის, გამოერთო თამაშს შეტევის მთავარი ორგანიზატორი ნორაკიძე. მართალია, ამ უკანასკნელმა შეძლო მეხუთე ბურთის გატანა, მაგრამ სპარტაკელები სულ უფრო აქტიურად მოქმედებდნენ, რის შედეგადაც სკვო-ს კარში გავიდა კიდევ 2 ბურთი.

მატჩი მოიგეს არმიელებმა ანგარიშით 5:3.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 8 ივლისის ნომრის პირველ გვერდზე მოთავსებულ წერილში—„ძვირფასი სტუმრები თბილისში" — ბოლო აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „სურათზე: მ. დ. ჩუბინიძე, ვ. პ. მჟავანაძე და ანტონინ ნოვოტნი..." შემდეგ, როგორც ტექსტშია.

ამას წინათ ამერიკულ პრესაში დაიბეჭდა მსოფლიოში ცნობილი ავტომრბოლელის პ. ტარუფის სტატია. იგი გამოდის მოწოდებით — აიკრძალოს ავტორბოლები — სპორტის მომაკვდინებელი სახეობა. საინტერესოა ამ წერილის სათაური — „შეგვაჩერეთ, სანამ კვლავ მოვკლავთ"!

ტარუფი — „იტალიის ვერცხლისფერი მ ე ლ ა" ერთადერთია მსოფლიოში, რომელმაც გაი მ ა რ ჯ ვ ა ოთხ უდიდეს და ყველაზე საშიშ დისტანციაზე (მილ მიგლია, პან-ამერიკული, ტარგა ფლორიო და სიცილიის ტურნე). იგი მონაწილეობდა 173 დიდ ავტორბოლაში, სადაც გაიმარჯვა 66-ჯერ და დაამყარა 70 მსოფლიო რეკორდი. გასული წლის მაისში 50 წლის ტარუფიმ კვლავ მოიპოვა პირველი ჯილდო იტალიის ძალზე სახიფათო რბოლაში — მილ მიგლია. ეს იყო სახელგანთქმული სპორტსმ ე ნ ი ს უკანასკნელი გამოსვლა შეჯიბრებაში.

აი, რას წერს ტარუფი: „— 34 წლის განმავლობაში ვმონაწილეობ ავტორბოლებში მსოფლიოს თითქმის ყველაზე საშიშ გზებზე და მიუხედავად იმისა, რომ მე ძალზე მიყვარს სპორტის ეს სახეობა, რომელმაც ამდენი სიხარული და მასთან სიმწარეც მომიტანა, ახლა ვაცხადებ — დადგა დრო აიკრძალოს იგი.

1957 წლის მაისში მეცამეტეჯერ ვმონაწილეობდი მილ მიგლიას შეჯიბრებაში, ტრასის სიგრძეა 1000 მილი. იგი ერთადერთი იყო, რომელზეც მანამდე არ გამემარჯვნა. მილ მიგლიას 4000 მოსახვევი აქვს. ბევრჯერ ლიდერიც ვიყავი, მაგრამ ფინიშის წინ ყოველთვის ავარიას განვ ი ც დ ი დ ი ხოლმე. ამჯერად მე წინ გავედი, ვაჩვენე საუკეთესო დრო და მოვიპოვე სანუკვარი გამარჯვება. წარმატებამ არ მომიტანა სიხარული — როგორც კი მოვიხადე ჩაფხუტი, მაცნობეს, რომ ჩემს მეგობარს ესპანელ მრბოლელს ალფონსო დე ორტაგოს ფინიშამდე გაუსკდა ბორბლის საბურველი. მისი „ფერარი", რომელიც უდიდესი სისწრაფით (300 კილომეტრი საათში) დაეჯახა ტელეგრაფის ბოძს, ავარდა მაღლა და თავზე დაემხვრა მაყურებლებს, რომლებიც გზის გასწვრივ იდგნენ. 10 კაცი სასიკვდილოდ დაიჭრა, მათ შორის დე პორტაგოც.

მაყურებელი ფინიშთან ტაშს მიკრავდა. ვცდილობდი გამარჯვებულის სახე მიმეღო, მაგრამ ჩემს გულში სასოწარკვეთილება სუფევდა.

1923 წლიდან ავტომრბოლელი ვარ. მაშინ საათში 65 მილი სისწრაფე თავბრუდამხვევად ითვლებოდა. ამჟამად მოსახვევებშიც კი 120 მილის სისწრაფით მივქრივართ, ისიც ვიწრო და ცუდად მოკირწყლულ გზებზე.

ოთხი საგზატკეც ი ლ ო ტრასიდან, რომლებიც მსოფლიოშია ცნობილი, მეტად ს ა ხ ი ფ ა თ ო ა მილ მიგლია და განსაკუთრებით ტარგა ფლორიო — მსოფლიოში ყველაზე ძველი და ამასთან მეტად ძნელი. იგი გადის სიცილიის მთიან გზებზე, 600 მოსახვევი ათჯერაა გასავლელი, ე. ი. საჭიროა 6000 მოსახვევის გადალახვა.

ეს მარშრუტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას თანამედროვე სარბოლი მანქანებისათვის, ვინაიდან გზატკეცილი გამოსადეგია მხოლოდ ჩვეულებრივი ავტომანქანებისათვის. მათ, ვინც გაიუყვანეს მილ მიგლიას გზა, ალბათ ვერც წარმოედგინათ, რომ მის გასწვრივ ოდესმე გამწკრივდებოდა მილიონობით მაყურებელი და როცა მანქანები 160 მილ სიჩქარეს ავითარებენ საათში, მექანიზმის უბრალო შეფერხებაც კი და საბურველის გახვრეტა გარდუვალ სიკვდილს იწვევს. მე ვიცი, რომ ჩვენთან არის მაყურებელთა კატეგორია, რომელიც მოწადინებულია ნახოს კატასტროფა, მაგრამ ისინი არ ფიქრობენ, რომ შეიძლება თვით გახდნენ ამ კატასტროფის მსხვერპლნი.

ჩემი გამოთვლით, ავტომობილისტთა 100 პროცენტიდან, რომლებმაც ვარჯიში დაიწყეს სპორტის ამ სახეობაში, შეჯიბრების დროს იღუპება ნახევარზე მეტი. დღეს სარბოლო ავტომობილი გაავეთრებულ ხარს გავს, რომელიც მზად არის დაგლიჯოს ტორეადორი. თანამედროვე „ფერარის" აქვს 400 ცხენისძალა, თუმცა მისი წონა ორჯერ ნაკლებია „კადილაკზე", რომელიც 300 ცხენისძალიანია.

მაშ ასე, მე გამოვდივარ ავტორბოლების წინააღმდეგ. აი რატომ მივედი ამ დასკვნამდე: ვმონაწილეობდი ნიურბურგრინგის (გერმანია) რბოლაში, სადაც გამოვდიოდი „ბუგოტის" მანქანით. ამ დისტანციაზე არის ტრამპლინის მსგავსი ადგილი. საერთოდ, საგზატკეცილო რბოლებში ჰაერში ავარდნა ჩვეულებრივი ამბავია. ამიტომ ტრამპლინისაკენ მივდიოდი საათში 150 მილის სისწრაფით. ის იყო „ბუგოტი" აიჭრა ჰაერში, რომ ტრანსმისიას რაღაც გაუსკდა. მიწაზე დაშვებისას ქვის მოაჯირს დაეჯახა და ჰაერში შეტრიალდა, მე რაღაცა ძალით კაბინიდან გადმოვვარდი. რამდენიმე წამის შემდეგ მიწაზე ვიწექი სრულიად ჯანსაღი, როცა მანქანა ნამსხვრევების გროვასა ჰგავდა.

მაშინ მე ცოცხალ მოჩვენებას ვგავდი.

რატომ მივდევ სპორტის ამ სახეობას? ძნელი სათქმელია. ბევრი ალბათ ფულისთვის, მაგრამ თვითონ მე, როგორც მგონია, მამოძრავებს რაღაც შინაგანი ძალა, რომელიც ალპინისტებს აიძულებს დაიპყრონ მაღალი მწვერვალები, წყალში მყვინთავებს— ზღვების სიღრმეები, ასტრონავტებს — ავიდნენ სტრატოსფეროში.

დე პორტაგო, რომელიც მილ მიგლიას გზატკეცილზე დაიღ უ პ ა, ხშირად მეუბნებოდა: „მე მომწონს შიშის გრძნობა და საბოლოო ჯამში თქვენ ხდებით ნარკომანი ამ საქმეში. ამიტომ არ შემიძლია არ ვიყო ავტომრბოლელი". ერთხელ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ალბე რ ტ ო ასკარის შესახებ ვილაცა მ თქვა: „იგი ისე სწრაფა დ დადის, ხასწაულია, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია!"

1955 წელს ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ასკარიმ კოლოსალური სისწრაფე განავითარა მოსახვევშ ი. მისი „ფერარი" გამოვარდა ტრეკიდან, ოთხჯერ გადაბრუნდა და შ ო რ ს ტყორცნა სპორტსმენი ს დასახიჩრებული სხეული. ასკარი გარდაიცვალა. ამ დროს მე ტრეკზე ვიყავი და ვნახე ალბერტოს სიკვდილი. ალბერტო 36 წლისა იყო და მას ბრწყინვალე კ ა რ ი ე რ ა ელოდა. მაშინ ვიფიქრე, რომ თანამედროვე სარბოლმა ავტომანქანამ ბევრი გადაწონა სიკვდილისაკენ და როცა გასულ წელს დაიღუპა ჩემი საუკეთესო მეგობარი უჟენო კასტელოტი, გადავწყვ იტე — დადგა დრო, რომ გამოვიდე იმ სპორტის წინააღმდეგ, რომელ ი ც ასე ძლიერ მიყვარდა. კასტელოტი შესანიშნავ ი ახალგაზრდა ავტომრბოლელი იყო, რომელსაც შეეძლო მსოფლიოში უძლიერესი ყოფილიყო. გასაგები რომ იყოს თუ რა ხდება სპორტის ამ სახ ეობაში, საკმარისია გადავხედოთ ავტოკატასტროფების ხიას. ომისშემდგომ პერიოდში მათი რიცხვი ძალზე გაიზარდა. ყველაზე დიდი კატასტროფიდან შეიძლება დავასახელოთ 1956 წლის მილ მიგლიას მარცხი, სადაც დაიღუპა 6 კაცი, ხოლო 20 დაიჭრა. 1957 წელს დაიღუპა 14, დაიჭრა — 20. მათ შორის უძლიერესი სპორტსმენი ესპანელი ალფონსო დე პორტაგო და ამერიკელი ედი ნემსონი.

მაგრამ ყველაზე საშინელი ავტორბოლების ისტორიაში მოხდა ლე მანზე (საფრანგეთი). აქ დაიღუპა 82, ხოლო დაიჭრა 100 კაცი.

ავტომობილისტთა ს ი კვდილიანობამ ამჟამად ისეთი სახე მიიღო, რომ მე ხმამაღლა მოვუწოდებ ყველას: შეგვაჩერეთ, სანამ კვლავ მოვკლავთ!"

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12 დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პ.მგ. მდივნის და განყოფილებების—8-90-84,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03724